2. 80/222

№ 2 (66) 9 აპრილი, 1912 წ. (66) № 2

# „თემის“ დამატება

უფასოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ვიდრე ხვალ შენ, მუნცა მოვიდე მე“. სურათი პ. კალდერონისა. ეს სურათი გაზ. „უტრო როსსიიმ“ შეცდომით ბ. ზიჩის მიაწერა და მხოლოდ ამ სურათის ნახევარი დაბეჭდა. ასე შეცდომით იყო გადაბეჭდილი ეს სურათი გაზ. „ბაქოსა“ და „სახალხო გაზეთში“.

## ობოლი სული

იქვით დაკოდილ სნეულ გონებას
მზით დანაკვესი ვასმ..ნე ჰანგი,
ზეცით მონაბერ ზეშთაგონებას
დავუმორჩილე ცხოვრების ჩანგი;
ლოცვა უსიტყვო, ცად ასაკმევი,
ჰიმნად ქცეული, ქარს გავატანე
და სულის სწრაფვა ცრემლად ნაფრქვევი
სხივით ანათრთოლ ნამში გავბანე;
ლაჟვარდ სივრცეში ავაწყე სიმნი,
ვცანი ვარსკვლავთა იდუმალობა,
მთვარის ღიმილში ავკრიფე ჰიმნი,
ცას გავაგონე უცხო გალობა;
დავწან გვირგვინი მშვენიერების,
ურვა სულისა შიგ ჩავაქსოვე,—
მაგრამ სავანე ბედნიერების
იქვით მოცულმა მაინც ვერ ვპოვე!..

—

სულო ობოლო, ცათა მპყრობელო!
სულო ეულო, სოფლით ლ..ტოლვილო!
შავ-ბნელ ცხოვრების უარ-მყოფელო,
თვით ცხოვრებისგან უარყოფილო!
გზად არ შეჰკეცო სასტიკ ბრძოლაში
მწვერვალზე ქროლით მოღლილი ფრთები!
ცეცხლად გაშალე, ელვათ სრბოლაში,
ღამით ნაშობი შავი ფიქრები!
და თუ ვერ მისწვდეს საზღვარს შენი ხმა
და ვერ ისმინო ჰიმნი შვებისა,—
ცეცხლის ზვირთებ..ი დასწვი გულის-თქმა,
ნიშნად სიცოცხლის განახლებისა!..
დეე ცის მკერდმა იგრძნოს ტკივ..ი
იქვით დაკოდილ, სნეულ გულისა,
და მზეს ჩააკვდეს უხმოდ კივილი
უნათესავო, ობოლ სულისა!..

ს. ბაშელი.

# მჭედელი

(ყოფნის ზღაპარი)

ხავსიან და ბნელ სარდაფში, დიდ ქალაქის განაპირათ,
სადაც ჟამის მოციქული ცეცხლის ხმლითა დადის ხშირათ,
იქ მჭედელი ცხოვრობს ერთი სოფლის წესსა გადამდგარი
და სცემს უროს ყოფნის გრდემლზე რღვევის ჟინით განამწარი.

დრო მიფრინავს... ფოლადის ხმა ყრუ საწუთროს თავს დასწივა,
ახალ ალთქმის ნაპერწკლები ალთა კრთომით ირგვლივ სცვივა,
გრძნეულია მეტის მეტის—მალვით ზღვაზე ხიდი გასდო,
ძველი ქვეყნის საკურთხეველს რკინის სალტე შემოაქდო.

ცის ქვეშეთში ზღაპრათ დადის: თითქოს იგი მაცდურია,
ღმერთებს ეშმაკი ჰგონიათ, სულის მოძღვართ კი—ურია,
გარს ალ-ქაჯნი ესევიან, მაგრამ მედგრად სდგას მჭედელი,
სინათლისა შესაპყრობათ შორს გაება ბადე-ქსელი.

მიჰქრის მიწა... ის ალს უნთებს, მან არ იცის დასასრული,
ყრუ წარსულში დანაპადსა, მომავალში უდგას სული,
და სცემს უროს:—ყოფნის ამბავს ეუბნება პირველ მზესა...
ჟამი იშვის, ჟამი კვდება, ცეცხლი მიაქვს სიცოცხლესა!

ნ. ჩხიკვაძე.



ან. ღლდიაშვილის ჰაეროპლანის მოდელი.

# ბაქო.

გურგენის ზღვის სიახლოვეს
ქალაქია დიდი, ბაქო.
ვნახე, მაგრამ ვერ ვახერხებ
რომ შევამკო და შევაქო.
ჯერ ქალაქი იმისთანა
არ მინახავს ჩვენში მე სხვა:
ნაცრის ფერი, უწყლო მხარე,
თუმც კი იქვე ახლოს აქვს ზღვა.
ქარი უქრის დღე და ღამე,
ახმაურებს ყველგან ქუჩებს;
გამვლელს აყრის მტვერს თვალებში,
ქვიშას ურევს, უწვავს ტუჩებს.
ჰაერი ჰყარს, არე—მარე
ირგვლივ უდის ნავთის სული,
სასმელი ჰყარს, საჭმელი ჰყარს!
არ ჰყარს მხოლოდ მარტო ფული.
მაგრამ მასაც სათავეში
ვინ უდგას? და ვის ხელშია?
ვიღაც ერთი ორიოდე,
მაშინ როცა ათასს სშია.
თაგიევი, ნაგიევი,
მუხთარი და მუსა-ალი
ვინ არიან ეს გმირები.
სულ უბრალო რამ „ამბალი“?
ზოგი თურმე ქვას ჰკოდავდა,
ზოგი იყო მიწის მუშა.
ბედმა შრომა ეს დღიური
ყველას ერთად ჩაუფუშა.
და სანაცვლოდ მიანიჭა
მილიონი... ნავთის წყარო...
და იმითი ააშენა...
აამაღლა, ვით სამყარო.
ვინც რომ თავსაც არ უკრავდა,
დღეს თაყვანს სცემს მოწიწებით
და შეჰყურებს როგორც ბრძენსა
სიხარბით და გაოცებით.
აგერ, ხედავთ, მოაქანებს
ავტომობილს ვიღაც ქალი,
ახალგაზდა თვალ-ტანადი
მაყურებელს მოსჭრა თვალი.
ნასწავლსა და განათლებულს,
არავინ ჰყავს, ჰფიქრობს, ტოლი,
და ვინ არის? ვინ იქნება,
თუ არ ამბალთაგნის ცოლი.
მილიონრის ცოლობაზე
ვინ გაბედავს,—რომ სთქვას,—უარს
და ლამაზი სხვისი ჩიტი—
გალიაშიც ქმარსაც უყვარს.
ამ მეოცე საუკუნის
ძალა არის, მხოლოდ ერთი
მილიონი!.. მილიონი!..
მილიონი, ქვეყნის ღმერთი!..
მაგრამ მაინც, ჩემო ბაქო
ვერ ვახერხებ, რომ შენ გაქო
მით უფრო რომ ზნეობითი
არაფერი არა გაქო.

აკაკი.

# მიბაძვა

მთელი სიცოცხლე მათ იარეს ცალ-ცალკე, კენტათ
და ერთმანეთთან მისვლასაც კი ვერა ბედავდენ,
მაგრამ ოცნებით ხშირად იყვენ ისინი ერთად,
მოჩვენებებში ერთმანეთსა ხშირად ხედავდენ!
ისინი გაჰქრენ, ვით ქრებიან ცაზე ვარსკვლავნი,
სიკვდილის ჟამსა მედიდურნი ბედს არა ჰგმობდენ!
სასაფლაოზედ ერთად მოხვდენ მათი საფლავნი
და ერთმანეთის სიახლოვეს კი ვერა გრძნობდენ!

შალვა ამირეჯიბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ფეხი.

ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი ქალწულისა
სიმბოლოა უცნაური სიკვდილის და სიცოცხლისა.

როს ზამთარში თოვლის ჯილა ილევენთება მთის ცრემლათა—
მაშინ ჩემს ცრემლს ცრემლით ვამსხვრევ სატრფოს პატივ-საცემლათა;
როცა ცეკვავ და შენს ფეხებს მიწა ჰკოცნის გაზაფხულზე—
ოჰ მე მაშინ იქვით იქვს ვკლავ, ვიტანჯები, ვსკდები გულზე.

მიკვირს!.. მთვარე, ბროლის მთვარე რად კაშკაშებს, რად ქათქათებს—
როცა შენი ოქროს ფეხი მომავალის გზას მინათებს?
მიკვირს!.. მწუხრისი რად ღიღინებს, რად მღერს ჰანგებს საამურსა—
როცა შენსა ფეხის თითზე კოცნით ვუკრავ სალამურსა?!.

ზეცას ქოლგათ გადმოგხურავ, ცისარტყელას დავსწვავ ზღვაზე,—
ოღონდ მითხარ, რას მიმზადებს შენი ფეხის სილამაზე?..
ცეცხლის ტალღას ფრთას წავაჰრი, მზის ყვავილსა მოვსთხოვ სურნელ'ს
ოღონდ ფეხით ღალს ნუ მომცხებ, დაღს უხილავს, განუკურნელს.

ნიავს მხრებზე გადავკიდე შენი ქარვის ფეხთ-სამოსი,
დაე ცაში აიტანოს საიდუმლო მიდამოსი;
საცეცხლურის ორთქლად შევსვი, შევსვი შენი ფეხთა მტვერი,
კოცნით მოვსჭე ის ტალახი შენ რო ფეხით ამოსჭერი.

რა ვქნა?!. მკერდ ქვეშ გულის ნაცვლად შენი ფეხი მისვენია,
ჩემს სალოცავ სულის კერპად მხოლოდ ეგ და დამშთენია;
ოდეს მოვკვდე... და დამატყდეს რისხვა ზეცით მონატეხი—
ამასა გთხოვ:—ჩემს საფლავზე ძეგლად დასდგი შენი ფეხი.

ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი... ოქროს ფეხი ქალწულისა—
სიმბოლოა უცნაური სიკვდილის და სიცოცხლისა.

ი. გრიშაშვილი.

# ლეგენდა.

რა რიგათ მიყვარს რომ იცოდე სახე შენი! ის სარკეა ჩემი სულის... ჩემი გულის სიღრმეში შენი თვალი ინთება ვით ორი დიდი მოკიაფე ვარსკვლავი შემოდგომის ცაზედ, ბნელ ღამეს...

შენი თითები თეთრია ვით ღრუბლის ქულა, ვით ღრუბლის ქულა, რომელიც დასაძინებლათ მთის მწვერვალს ესტუმრება...

ფიქრი ჩემი მარხია შენ სულში. .

შენი სული—ეს ხომ თვით ლეგენდაა, შექმნილი ლეგენდა, რომლის დედა-აზრს ჩემსავით ვერვინ გაიგებს...

ნუ მომასმენ შენ ხმას—მე თვით შევქმნი მას და მოვისმენ...

ნუ დამანახვებ შენს თვალებს—ისედაც ვხედავ მათ ყოველ ჟამს...

ნუ მოხვალ ჩემთან—ისედაც ვიგრძნობ შენს სიახლოვეს...

გეტყოდი ზღაპარს შენსავით მშვენიერს, მაგრამ შენ ხომ თვით ზღაპარი ხარ, ზღაპარი, რომელიც ჩემთვის დაიბადა, რომელიც ჩემთვის არსებობს...

შორს ხარ ჩემგან, მაგრამ რათ მესმის ყოველთვის შენი ტკბილი საუბარი...

უხილავი ვიყავ—შენ განმიხილე თვალები.

ყრუ ვიყავ—მაგრამ შენმა ძახილმა მომცა ძალი და განვიკურნე...

მშვენიერია ქვეყანა, რადგან შენ ხარ ქვეყანაში. ლამაზი არის მორწმუნეთა ლოცვა, ვინაიდან ის მოაგავს ჩემს ლოცვას შენდამი...

მხოლოდ მიტომ ხარ შექმნილი, რომ შენით ყველაფერი შემიყვარდეს... კურთხეულ იყვეს მიწა შემქმნელი შენი და დამტარებელი. კურთხეულ იქმნეს სახე შენი და ბაგე საამურათ მოღიმარი. .

შენი სული—ეს ხომ თვით ლეგენდაა, შექმნილი ლეგენდა, რომლის დედა-აზრს ჩემსავით ვერვინ ჩაწვდება ..

რა საქმე მაქვს მე მასთან—ჭეშმარიტებაა ჩემი ლეგენდა თუ არა?!

განა შენ თვითონ სინამდვილე ხარ?!

ხერ. კლდიაშვილი.

# საფლავი

მათრია წუთისოფელმა,
როგორც გრიგალმა ღრუბელი;
ოხვრა და კვნესით ვატარე
სევდების მძიმე უღელი.
გერი ვიყავი სოფლისა,
მენატრებოდა საფლავი;
ვერ გავიკვლიე ნორჩმა გზა,
დავკარგე ბედის ვარსკვლავი.
ცრუ-ამპარტავან მზე-მთვარეს
ქოქოლა გადავაყარე,
ამითვალწუნა ქვეყანამ,
აღარსად მომცა სამარე.
ბოლოს ამ ლექსში ჩავმარხე
გული მარად ჟამს მწუხარი...
მკითხველო, სიცოცხლე მწირსა,
შენდობა მაინც უთხარი!..

ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე. ელექტრო მბეჭდავი სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.